## გამარჯვება ძნელ ბრძოლაში

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" ცენტრალური სტადიონი. 16 სექტემბერი.

"დინამო" (თბილისი, სსრ კავშირი) – "გრაცერ აკ" (გრაცი, ავსტრია) 2:0 (1:0).

"დინამო": გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი, ჟვანია, შენგელია.

"გრაცერ აკ": ეკმეჩიჩი, მარკო, მოჰაპი (ცუენელი), კამაუფი, ჰიუნვარტერი, შტერინგი, პიგელი, მარერი, ვაისი, მოდერი, რიდლი (შპირკე).

მსაჯი: რ. რეინგლი (შვეიცარია).

გააფრთხილეს მარკო, მოჰაპი.

მატჩს დაესწრო 59.000 მაყურებელი.

დაიწყო მატჩი და პირველივე წუთებიდან ცხადი შეიქმნა, რომ ავსტრიელები უმთავრესად საკუთარი კარის დაცვით იყვნენ დაინტერესებული. ევროპულ გათამაშებათა 2–რაუნდიანი სისტემა გულისხმობს მეტოქის მინდორზე მაქსიმალურად უკეთესი შედეგის მიღწევას. გრაცელთათვის კი ეს პრინციპი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ არ გაეშვათ საკუთარ კარში ბურთი. წინა ხაზზე აქა–იქ თუ გაითამაშებდნენ ბურთს მოდერი და რიდლი, დანარჩენები კი საკუთარი საჯარიმო მოედნის მიახლოვეს იყვნენ განლაგებულნი და თავგამოდებით ცდილობდნენ არ მიეყვანათ საქმე მეკარე ეკმეჩიჩთან.

დიდი ხანია თანამედროვე ფეხბურთში უარყოფილია პერსონალური მეურვეობა და საუკეთესო გუნდები ზონური დაცვის პრინციპით მოქმედებენ. აქ კი უნდა ვთქვათ, კარგა ხანია არ გვინახავს ის ტაქტიკა, რომელსაც ავსტრიელი ფეხბურთელები დაადგნენ: ეს იყო აშკარა, დაუფარავი პრესინგი, მთელს მინდორზე, როცა თბილისელ თავდამსხმელებს და ნახევარმცველებსაც კი უშუალო მეთვალყურეები ჰყავდათ მიჩენილი, რომლებიც ფეხს არ იცვლიდნენ გაპიროვნებული მოთამაშეებისგან და დასდევდნენ ყველგან, სადაც კი დინამოელები გადაინაცვლებდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ჰიუნვარტერი, რომელიც "მწმენდავის" როლს ასრულებდა და თავისი პარტნიორების შეცდომებს ასწორებდა.

მართალია, თბილისელებს დიდი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ "გრაცერ აკ"–ის ამ მასირებული დაცვის გარღვევა არც ისე იოლი გამოდგა. პირველი 25–30 წუთის მანძილზე სტუმრების კართან სულ 2–3 მომენტი შეიქმნა, 35–ე წუთზე კი შენგელიას უძლიერესი დარტყმა მოხვდა ზედა ძელს, შემდეგ – მიწას და ეკმეჩიჩი აშკარა ხიფათს გადაუჩა. შემდეგ მან ფეხით ააცალა ბურთი შენგელიას ბოლო მომენტში, 42–ე წუთზე ჟვანიამ მოულოდნელად, ძლიერად დაარტყა, შორი მანძილიდან, ბურთი თავში მოხვდა ერთ–ერთ ავსტრიელ ფეხბურთელს და რიკოშეტით აღმოჩნდა ბადეში – 1:0.

მეორე ტაიმის დასაწყისში დინამოელებმა შეცვალეს ტაქტიკა, მკვეთრად მოუმატეს ტემპს და აქ ნათელი გახდა, რომ გრაცელები აშკარად ჩომრჩებოდნენ მათ სისწრაფეში. პირველი 4 წუთის მანძილზე სტუმრების კართან იმდენივე საგოლე მომენტი შეიქმნა, რამდენიც მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში, ყველა რგოლში – დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც, თავდასხმაშიც, სისწრაფისა და ტემპის წყალობით

თბილისელები ეპიზოდს ეპიზოდზე უგებდნენ მეტოქეს და თამაში არსებითად ცალ კარში მიმდინარეობდა. საგოლე მომენტებს თვლა არ ჰქონდა: ბურთის გატანა შეეძლოთ შენგელიას, გუცაევს, სულაქველიძეს, დარასელიას, სვანაძეს, მოვლენათა მსვლელობა ისეთი იყო, რომ შეგვეძლო გვევარაუდა რა ანგარიშით გადაურჩებოდა გრაცის გუნდი წაგებას, მაგრამ გადიოდა დრო, სახიფათო მომენტები ფუჭად იკარგებოდა და თბილისელებს კვლავ და კვლავ, უხდებოდათ ხელახალი იერიშების წამოწყება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ "გრაცერ აკ"–ის ფეხბურთელები საკმაოდ დემონსტრაციულად აჭიანურებდნენ დროს, ვინაიდან ანგარიში 0:1 მათ სავსებით აძლევდა ხელს, ამას გარდა, ზოგიერთი მათგანი არც უხეშობას ერიდებოდა და სწორედ ერთ–ერთი ასეთი უხეში თამაშის შედეგად, 72–ე წუთზე, როცა გარღვევაზე გასული გუცაევი ერთ–ერთმა მცველმა დაურიდებლად წააქცია თავის საჯარიმო მოედანზე, შვეიცარიელმა მსაჯმა რეინგლიმ დანიშნა 11–მეტრიანი. დინამოელებმა პენალტი შენგელიას მიანდვეს და მისი დარტყმა ზუსტი გამოდგა – 2:0.

დასამალი არაა, რომ თბილისის "დინამოს" გაცილებით უფრო უკეთესი ანგარიშით უნდა მოეგო მატჩი, საამისო შესაძლებლობა მას მრავლად ჰქონდა, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ განმეორებითი მატჩისთვის საჭირო იქნება კიდევ უფრო მეტი მობილიზებით, მეტი ენერგიითა და უფრო მაღალი ტემპით თამაში.

მატჩის დამთავრების შემდეგ თბილისის "დინამოს" უფროსმა კ. ასათიანმა განაცხადა, რომ დინამოელებმა ვერ გამოიყენეს დიდი ანგარიშით გამარჯვების მრავალი შესაძლებლობა. 30 სექტემბერს ქ. გრაცში საჭირო იქნება ძალების მაქსიმალური დაძაბვით ბრძოლა.

ავსტრიელთა მწვრთნელმა ზ. ჩიკოვსკიმ კმაყოფილება გამოთქვა იმით, რომ მისი გუნდი იოლად გადაურჩა პირველ მატჩს, გადაურჩა დიდი ანგარიშით წაგებას და მთლად იმედმოცარული არ მიემგზავრება შინ.

ბ. ქორქია.

"ლელო", 17 სექტემბერი, 1981 წ.